



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 28
29/05/2017

28-04-4-201705291629



„ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის 2017 წლის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის №11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. „ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის 2017 წლის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის №11 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და

ა) „ 2017 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა“ დამტკიცდეს თანახმად დანართი №1-სა.

ბ) „ 2017 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა“ დამტკიცდეს თანახმად დანართი №2-სა.

2. დანართი №1 და №2 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

4. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ.სალაძემ.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში(მისამართი : ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გურამ ანანიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

მიზნობრივი პროგრამა

1. პროგრამის სახელწოდება

2017 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი

01 იანვარი 2017 წელი

31 დეკემბერი 2017 წელი

3. ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი შეადგ 52880 (ორმოცდათორმეტი ათას რვაას ოთხმოცი)

ლარი

I კვარტალი - 19400

II კვარტალი - 17000

III კვარტალი - 8500

IV კვარტალი - 7980

4. ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროები:

ძირითადი - ქედის მუნიციპალიტეტი 52880 (ორმოცდათორმეტი ათას რვაას ოთხმოცი) ლარს.

5. ქვეპროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო - ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

6. პროგრამის აღწერა, მისი აქტუალობის დასაბუთება და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზე დგება პროგრამა

7. ქვეპროგრამის მიზნები: ქვეპროგრამის მიზანია სპორტული ღონისძიებების 2017 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ჩატარება. ადგილობრივ სპორტსმენტა დაფინანსება საქართველოსა და ქვეყნის გარეთ სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

8. ქვეპროგრამის ხარჯები

პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებების დასახელება	ღონისძიებების ხარჯი (ლარი)
სპორტული	52880
სულ	52880

9. ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს - 52880 (ორმოცდათორმეტი ათას რვაას ოთხმოცი) ლარს.

ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების 2017 წლის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის სპორტული ღონისძიებები

№	სპორტული ღონისძიებების დასახელება	ჩატარების		თანხა
			ადგილი	
1	გათვალისწინებლი ღონისძიებები			1074
	ჯამი			1074
2	2017 წლის წარმატებული სპორტსმენტა და მწვრთნელთა წახალისების ფონდი			5500
	ჯამი			5500
მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ღონისძიებები				
		თარიღი		
3	ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სპორტული თამაშები	თებერვალი-მაისი	ქედა	2096
4	ფრენბურთი. ავთანდილ ბერიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი	აპრილ-მაისი	ქედა	1873

5	თავისუფალი ჭიდაობა. გურამ ჯიჯავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი	წლის განმავლობაში	ქედა	2226
6	ფეხბურთი. არჩილ ფარტენაძის სახელობის ტურნირი	წლის განმავლობაში	ქედა	1326
7	ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდების მონაწილეობა „სასკოლო სპორტულ ოლიმპიადა 2017-ი“ (ადგილობრივი, რეგიონალური და ზონალურ ტურნირებში, ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო ინვენტარის შეძენა)	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	12089
ჯამი				19610
თავისუფალი ჭიდაობა				
8	თავისუფალი ჭიდაობა. ქოლგიანი დელფინი	მარტი-აპრილი	ბათუმი	1314
9	თავისუფალი ჭიდაობა. კობა კაკალაძის სახელობის ტურნირი	ივნისი	კალენდარის შესაბამისად	1422
10	თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს პირველობა	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	1809
11	გურამ ჩელებაძის სახელობის ტურნირი	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	773
ჯამი				5318
ჭადრაკი				
12	ჭადრაკი აჭარის პირველობა (10,14,18) წლამდე ასაკი	თებერვალი-მარტი	ბათუმი	1713
13	ქედის სასპორტო სკოლის ჭადრაკის ნაკრები გუნდის სასწავლო-საწვრთნო შეკრება ბაკურიანში	იანვარი-თებერვალი	ბაკურიანი	4613
14	საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში, ჭაბუკთა და გოგონათა შორის	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	1536
ჯამი				7862
კიკბოქსინგი				
15	ქედის კიკბოქსორთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	885
ჯამი				885
კალათბურთი				
16	ქედის კალათბურთელთა ნაკრები გუნდის მონაწილეობასხვადასხვა ღონისძიებებში			800
ჯამი				800
მაგიდის ჩოგბურთი				
17	მაგიდის ჩოგბურთი, აჭარის ჩემპიონატი	მარტი-აპრილი	კალენდარის შესაბამისად	523
18	მაგიდის ჩოგბურთი, ამხანაგური შეხვედრაქ. ბათუმის სასპორტო სკოლის გუნდთან	მაისი-ივნისი	ბათუმი	254
19	მაგიდის ჩოგბურთი, ამხანაგური შეხვედრა ხულოს სასპორტო სკოლის გუნდთან	სექტემბერი-ოქტომბერი	ხულო	238
20	მაგიდის ჩოგბურთი, ზემო აჭარის პირველობა	ოქტომბერი-ნოემბერი	ხულო	505
21	თორნიკე ლოღობერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	1458
22	მაგიდის ჩოგბურთი. რაჭის ღია პირველობა	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	1375

23	მაგიდის ჩოგბურთი, პაატა გარსევანიშვილის სახელობის ტურნირი	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	2024
ჯამი				6377
ქართული ჭიდაობა				
24	ქართული ჭიდაობა, აჭარის პ/პირველობა 2001-2002წწ. დაბადებულ სპორტსმენებს შორის	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	230
25	ქართული ჭიდაობა, აჭარის პ/პირველობა 2003-2004 წწ. დაბადებულ სპორტსმენებს შორის	წლის განმავლობაში	ბათუმი	230
26	ქართული ჭიდაობა, ვლადიმერ მახარაძის სახელობის ტურნირი	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	230
27	ვასილ გაროზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	456
28	შუახვევის მუნიციპალიტეტიდან აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნის ტურნირი	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	213
29	ქართული ჭიდაობა, აჭარის აჭარის აბსოლიტური პირველობა, აჭარის ფალავნობა	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	230
ჯამი				1589
ფეხბურთი				
30	ფეხბურთი. ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლის ფეხბურთელთა სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებებში.	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	3865
ჯამი				3865
სულ ჯამი				52880

მიზნობრივი პროგრამა

1. პროგრამის სახელწოდება

2017 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი

01 იანვარი 2017 წელი
31 დეკემბერი 2017 წელი

3. ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 14020 (თოთხმეტი ათას ოცი) ლარს.

I კვარტალი -1200
II კვარტალი -7600
III კვარტალი - 3500
IV კვარტალი - 1720

4. ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროები: ძირითადი - ქედის მუნიციპალიტეტი 14 020 (თოთხმეტი ათას ოცი)

ლარს

5. ქვეპროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო - ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

6. პროგრამის აღწერა, მისი აქტუალობის დასაბუთება და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზე დგება პროგრამა

7. ქვეპროგრამის მიზნები

პროგრამის ფარგლებში 2017 წელს დაფინანსდება სხვადასხვა გასართობი და შემეცნებითი პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ინტელექტუალური ღონის ამღლებას, ხალისიანი და მსუბუქი განწყობილების შექმნას, მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და სტიმულირებას, ახალგაზრდების გაერთიანებას ინტერესების მიხედვით, მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას, კლუბური და გუნდური მუშაობის უნარების შექმნასა და განვითარებას.

8. ქვეპროგრამის ხარჯები

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასახელება	ღონისძიებების ხარჯი (ლარი)
ახალგაზრდული	14020
სულ	14020

9. ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს - 14020 (თოთხმეტი ათას ოცი) ლარს.

ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების 2017 წლის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის ახალგაზრდული ღონისძიებები

	ახალგაზრდული ღონისძიებების დასახელება	ჩატარების		თანხა
		თარიღი	ადგილი	
1	გაუთვალისწინებელი ღონისძიებები			620
2	მუნიციპალიტეტის პირველობა მხიარულთა და საზრიანთა გუნდებს შორის	აპრილ-მაისი	ქედა	2963
3	ლამპრობის მოწყობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე	წლის განმავლობაში		1200
4	აჭარის ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში რა? სად? როდის?	აპრილ-მაისი	ბათუმი	362
5	ეკოტურის- დღეები	წლის განმავლობაში		2120
6	„ინტელექტის დღე-2017“	აპრილ-ივნისი	ქ.თბილისი	1129
7	მხიარულ რეგიონში ქედის მხიარულთა და საზრიანთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა	მარტი-მაისი	ადგილმდებარეობის მიხედვით	286
8	თავისუფალი პროექტების დაფინანსება	წლის განმავლობაში		1200
9	მუსიკალური კონკურსი „ქედის ხმა 2017“	წლის განმავლობაში		1940
10	ტრენინგ-სემინარი ახალგაზრდებისათვის, (არაფორმალური განათლება)	წლის განმავლობაში		400
11	ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა	აგვისტო		1800
სულ ჯამი				14020